საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 104

2017 წლის 27 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლისა და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესის, ფაკულტეტების დეკანატების, დარგობრივი დეპარტამენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგები, შენიშვნები და რეკომენდაციები **დანართი** 1-ის შესაბამისად.
2. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ზემოაღნიშნული შენიშვნები და რეკომენდაციები სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურებს, დარგობრივ დეპარტამენტებს და გათვალისწინებული იქნეს ბსუ-ს 2017-2018 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

რეკომენდაციები	**პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურა**	**შესრულების ვადები**
საგანმანათლებლო პროგრამებითა და სილაბუსებით გაწერილი სწავლება/სწავლის მეთოდების სრულფასოვნად გამოყენება და პროცესის მონიტორინგი	პროფესორ-მასწავლებლები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები	სასწავლო წლის მანძილზე
ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის მასალების სრულყოფა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების მონიტორინგი	პროფესორ-მასწავლებლები, დარგობრივი დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები	სასწავლო წლის მანძილზე
ლექციებზე გამოყენებული (საპრეზენტაციო) მასალების სრულყოფა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების მონიტორინგი	პროფესორ-მასწავლებლები, დარგობრივი დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები	სასწავლო წლის მანძილზე
შეფასების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (სტუდენტთა ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ)	პროფესორ-მასწავლებლები, დარგობრივი დეპარტამენტები	სასწავლო წლის მანძილზე
მრავალკომპონენტიანი, კომბინირებული საგამოცდო მასალების მომზადება, სრულყოფა და საგამოცდო პროცესში მისი გამოყენების მონიტორინგი	პროფესორ-მასწავლებლები, დარგობრივი დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები	საგამოცდო პერიოდი
სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გააქტიურება და პროცესის მონიტორინგი	პროფესორ-მასწავლებლები, დარგობრივი დეპარტამენტები, ფაკულტეტის დეკანები	სასწავლო წლის მანძილზე
სწავლება/სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით ფაკულტეტებისათვის ტრეინინგების ორგანიზება	ფაკულტეტის დეკანები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები	სასწავლო წლის მანძილზე
პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემის ამოქმედება	ფაკულტეტის დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	სასწავლო წლის მანძილზე

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომელთა სასწავლო პროცესში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა	ფაკულტეტის დეკანები	
სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე
სტუდენტთა მომსახურების ელექტრონული სისტემის ამოქმედება	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილება	გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე
სპორტული და კულტურული ღონისძიებების გააქტიურება	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილება	სასწავლო წლის მანძილზე
უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ვებგვერდის სრულყოფა	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	სასწავლო წლის მანძილზე
აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით წახალისებისა ან/და დისციპლინური სახდელის მექანიზმის აქტიურად ამოქმედება	მართვის ორგანოები	სასწავლო წლის ბოლო